

2023



შპს „ნატურლენდი“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	1-3
--------------------------------------	-----

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა.....	8
2. მომზადების საფუძველი	8
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	13
5. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი.....	13
6. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	14
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	15
8. მარაგები.....	16
9. ძირითადი საშუალებები	17
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
11. სასესხო ვალდებულებები	19
12. საწესდებო კაპიტალი	20
13. შემოსავალი	20
14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	20
15. გაყიდვის და დისტრიბუციის დანხარჯები	20
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	20
17. საკურსო სხვაობით წარმოშობილი წმინდა მოგება/(ზარალი).....	21
18. სხვა ხარჯი.....	21
19. მოგების გადასახადის ხარჯი.....	21
20. პირობითი ვალდებულებები	22
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	22
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	22

მმართველობის ანგარიშგება

23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ნატურლენდი“-ს დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ნატურლენდის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“, აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების და გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯების კატეგორიაში შემავალი სახელფასო ხარჯები 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შეადგენს 2,595,189 ლარს (2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი 1,977,619 ლარი), რაზეც ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება, რადგან კომპანიამ ვერ მოგვაწოდა შესაბამისი დოკუმენტაცია. ჩვენ ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით აღნიშნულზე საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების და გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯების სახელფასო ხარჯების ნაწილზე, რომელიც მოცემულია კომპანიის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის, ასევე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამის ელემენტებზე 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საკუთარი კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებზე 2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის.

ჩვენ ვერ დავესწარით მარაგების ინვენტარიზაციას 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რადგან ჩვენ არ დავნიშნულვართ აუდიტორებად 2024 წლამდე. ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული მარაგების არსებობასა, სისრულისა და მდგომარეობის შესახებ, რაც გავლენას ახდენს 2023 წლის და 2022 წლის ოპერაციების ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაზე. აღნიშნული მარაგები მონაწილეობენ 2023 და 2022 წლების რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ფორმირებაში. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შემადგენელ შესაბამის ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, ასევე მარაგების ნაწილზე რომელიც მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირ ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წამოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

აუდიტის სხვა გარემოებები

კომპანიის წინა წლების ფინანსური ანგარიშგება არააუდიტირებულია. მიმდინარე ანგარიშგება - 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, არის პირველი ანგარიშგება რომლის აუდიტიც განხორციელდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. თუმცა, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 510-ის (საწყისი აუდიტის სამუშაოები - საწყისი ნაშთები) მოთხოვნები შესრულებულია იმდენად, რომ დავრწმუნდეთ საწყისი მაჩვენებლები არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია წაკითხული უნდა იქნას 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის აუდიტორის ანგარიშთან ერთად.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ასევე ჩავატარეთ შენიშვნაში 6-ში წარმოდგენილი შესწორებების აუდიტიც, რომელიც ეხება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებას. ჩვენი აზრით, მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. შესადარის ინფორმაციაზე ჩატარებული აუდიტორული პროცედურები შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული შესწორებებით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

სოფიკო ლუდუშაური (SARAS-A-835962)

შპს „კორა კონსალტინგი“ (SARAS-F-407186)

20 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო

ს. ლუდუშაური

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022 გადაანგარიშებული*	1 იანვარი 2022 გადაანგარიშებული*
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	39,029	335,348	927,929
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	6,791,107	5,079,686	2,943,834
გადახდილი ავანსები		16,352	4,798	6,010
სხვა აქტივები		749	-	287
მარაგები	9	3,713,085	2,927,272	1,879,731
საგადასახადო აქტივი		23,230	-	-
სულ მიმდინარე აქტივები		10,583,552	8,347,104	5,757,791
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	378,478	208,306	172,716
არამატერიალური აქტივები		20,115	23,579	33,034
სულ გრძელვადიანი აქტივები		398,593	231,885	205,750
სულ აქტივები		10,982,145	8,578,989	5,963,541
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,621,318	982,949	755,435
მიღებული ავანსები		4,943	-	-
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	12	763,675	730,794	350,000
საგადასახადო ვალდებულება		-	43,858	118,710
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,389,936	1,757,601	1,224,145
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12	470,000	930,000	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		470,000	930,000	-
სულ ვალდებულებები		2,859,936	2,687,601	1,224,145
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	13	200	200	200
გაუნაწილებელი მოგება		8,122,009	5,891,188	4,739,196
სულ კაპიტალი		8,122,209	5,891,388	4,739,396
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		10,982,145	8,578,989	5,963,541

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 6.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი

თეონა გიორგაძე

ბექა გეთიაშვილი

თბილისი, საქართველო

20 სექტემბერი 2024

8-22 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2023	2022 გადაანგარიშებული*
შემოსავალი	14	19,219,300	16,749,733
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(8,709,918)	(8,693,336)
საერთო მოგება		10,509,382	8,056,397
გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები	16	(4,457,662)	(3,580,675)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(1,769,743)	(1,375,404)
საოპერაციო მოგება		4,281,977	3,100,318
ფინანსური ხარჯი ნეტო	12	(183,298)	(117,348)
საკუროსო სხვაობით წარმოშობილი წმინდა ზარალი	18	(95,129)	(248,803)
სხვა შემოსავალი		71,829	117,181
სხვა ხარჯი	19	(507,335)	(525,738)
მოგება დაბეგვრამდე		3,568,044	2,325,610
მოგების გადასახადის ხარჯი	20	(264,276)	(205,634)
წლის წმინდა მოგება		3,303,768	2,119,976
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		3,303,768	2,119,976

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 6.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი

თეონა გიორგაძე

ბექა გეთიაშვილი

თბილისი, საქართველო

20 სექტემბერი 2024

8-22 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)*

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 13)	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2021 წლის 31 დეკემბრისთვის (გადაანგარიშებული*)	200	4,739,196	4,739,396
წლის მოგება	-	2,119,976	2,119,976
დივიდენდები	-	(967,984)	(967,984)
2022 წლის 31 დეკემბრისთვის (გადაანგარიშებული*)	200	5,891,188	5,891,388
წლის მოგება	-	3,303,768	3,303,768
დივიდენდები	-	(1,072,947)	(1,072,947)
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	200	8,122,009	8,122,209

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 6.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი

თეონა გიორგაძე

ბექა გეთიაშვილი

თბილისი, საქართველო

20 სექტემბერი 2024

8-22 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2023	2022 გადაანგარიშებული*
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		3,568,044	2,325,610
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	17	72,590	64,295
ფინანსური ხარჯი ნეტო	12	183,298	117,348
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	18	95,129	248,803
ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		3,919,061	2,756,056
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე			
ზრდა მარაგებში	9	(785,813)	(1,047,541)
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	8	(1,712,170)	(2,129,296)
ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	11	750,419	443,625
ზრდა საგადასახადო აქტივში		(23,230)	-
შემცირება საგადასახადო ვალდებულებებში		(43,858)	(74,852)
ზრდა მიღებულ ავანსებში		4,943	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტამდე და მოგების გადასახადამდე		2,109,352	(52,008)
გადახდილი პროცენტი	12	(71,994)	(37,358)
გადახდილი მოგების გადასახადი		(264,276)	(205,634)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		1,773,082	(295,000)
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	10	(232,897)	(90,430)
არამატერიალური აქტივის შესყიდვა		(6,400)	-
ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(239,297)	(90,430)
საფინანსო საქმიანობა			
სესხის მიღება	12	4,400,438	4,367,328
სესხის ძირის გადახდა	12	(4,943,765)	(3,141,581)
გადახდილი დივიდენდები	13	(1,072,947)	(967,984)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		(1,616,274)	257,763
ფულის და ფულის ეკვივალენტების შემცირება		(82,489)	(127,667)
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი	18	(213,830)	(464,914)
ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე			
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	335,348	927,929
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს		39,029	335,348

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 6.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი

თეონა გიორგაძე

ბექა გეთიაშვილი

თბილისი, საქართველო

20 სექტემბერი 2024

8-22 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022 გადაანგარიშებული*	1 იანვარი 2022 გადაანგარიშებული*
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	39,029	335,348	927,929
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	6,791,107	5,079,686	2,943,834
გადახდილი ავანსები		16,352	4,798	6,010
სხვა აქტივები		749	-	287
მარაგები	9	3,713,085	2,927,272	1,879,731
საგადასახადო აქტივი		23,230	-	-
სულ მიმდინარე აქტივები		10,583,552	8,347,104	5,757,791
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	378,478	208,306	172,716
არამატერიალური აქტივები		20,115	23,579	33,034
სულ გრძელვადიანი აქტივები		398,593	231,885	205,750
სულ აქტივები		10,982,145	8,578,989	5,963,541
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,621,318	982,949	755,435
მიღებული ავანსები		4,943	-	-
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	12	763,675	730,794	350,000
საგადასახადო ვალდებულება		-	43,858	118,710
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,389,936	1,757,601	1,224,145
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12	470,000	930,000	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		470,000	930,000	-
სულ ვალდებულებები		2,859,936	2,687,601	1,224,145
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	13	200	200	200
გაუნაწილებელი მოგება		8,122,009	5,891,188	4,739,196
სულ კაპიტალი		8,122,209	5,891,388	4,739,396
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		10,982,145	8,578,989	5,963,541

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 6.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

თეონა გიორგაძე

თბილისი, საქართველო
20 სექტემბერი 2024

ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ბექა გეთიაშვილი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2023	2022 გადაანგარიშებული*
შემოსავალი	14	19,219,300	16,749,733
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(8,709,918)	(8,693,336)
საერთო მოგება		10,509,382	8,056,397
გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები	16	(4,457,662)	(3,580,675)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(1,769,743)	(1,375,404)
საოპერაციო მოგება		4,281,977	3,100,318
ფინანსური ხარჯი ნეტო	12	(183,298)	(117,348)
საკურსო სხვაობით წარმოშობილი წმინდა ზარალი	18	(95,129)	(248,803)
სხვა შემოსავალი		71,829	117,181
სხვა ხარჯი	19	(507,335)	(525,738)
მოგება დაზღვევამდე		3,568,044	2,325,610
მოგების გადასახადის ხარჯი	20	(264,276)	(205,634)
წლის წმინდა მოგება		3,303,768	2,119,976
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		3,303,768	2,119,976

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 6.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი

თეონა გიორგაძე

ბექა გეთიაშვილი



თბილისი, საქართველო
20 სექტემბერი 2024

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 13)	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2021 წლის 31 დეკემბრისთვის (გადაანგარიშებული*)	200	4,739,196	4,739,396
წლის მოგება	-	2,119,976	2,119,976
დივიდენდები	-	(967,984)	(967,984)
2022 წლის 31 დეკემბრისთვის (გადაანგარიშებული*)	200	5,891,188	5,891,388
წლის მოგება	-	3,303,768	3,303,768
დივიდენდები	-	(1,072,947)	(1,072,947)
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	200	8,122,009	8,122,209

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 6.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი

თეონა გიორგაძე

ბეჭა გეთიაშვილი

თეონა გიორგაძე



ბეჭა გეთიაშვილი

თბილისი, საქართველო
20 სექტემბერი 2024

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2023	2022 გადაანგარიშებული*
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		3,568,044	2,325,610
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	17	72,590	64,295
ფინანსური ხარჯი ნეტო	12	183,298	117,348
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	18	95,129	248,803
ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		3,919,061	2,756,056
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე			
ზრდა მარაგებში	9	(785,813)	(1,047,541)
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	8	(1,712,170)	(2,129,296)
ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	11	750,419	443,625
ზრდა საგადასახადო აქტივში		(23,230)	-
შემცირება საგადასახადო ვალდებულებებში		(43,858)	(74,852)
ზრდა მიღებულ ავანსებში		4,943	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტამდე და მოგების გადასახდამდე		2,109,352	(52,008)
გადახდილი პროცენტი	12	(71,994)	(37,358)
გადახდილი მოგების გადასახადი		(264,276)	(205,634)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		1,773,082	(295,000)
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	10	(232,897)	(90,430)
არამატერიალური აქტივის შესყიდვა		(6,400)	-
ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(239,297)	(90,430)
საფინანსო საქმიანობა			
სესხის მიღება	12	4,400,438	4,367,328
სესხის ძირის გადახდა	12	(4,943,765)	(3,141,581)
გადახდილი დივიდენდები	13	(1,072,947)	(967,984)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		(1,616,274)	257,763
ფულის და ფულის ეკვივალენტების შემცირება		(82,489)	(127,667)
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი	18	(213,830)	(464,914)
ფულსა და ფული ეკვივალენტებზე			
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	335,348	927,929
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს		39,029	335,348

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 6.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი

თეონა გიორგაძე

ბექა გეთიაშვილი

თბილისი, საქართველო

20 სექტემბერი 2024



8-22 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***1. ძირითადი საქმიანობა****(ა) კომპანია და მისი ოპერაციები**

„ნატურლენდი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა (შემდგომში „კომპანია“), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2013 წლის 16 დეკემბერს შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრით: 400106611.

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი არის საქართველო, თბილისი ნაძალადევის რაიონი, გიორგი ჭყონდიდელის ქ. N 87 ა.

კომპანიის ძირითად საქმიანობის წარმოადგენს ბავშვთა და მოზრდილთა კვების პროდუქტებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა, ასევე ვაჭრობა ჰიგიენის და თავის მოვლის სხვადასხვა საშუალებებით.

ამ ანგარიშგების გამოშვების მომენტში კომპანიის დირექტორი არის თეონა გიორგაძე.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
ვახტანგ ბარბაქაძე	65.00%	65.00%	65.00%
თეონა გიორგაძე	15.00%	15.00%	15.00%
შორენა მეხრიშვილი	15.00%	15.00%	15.00%
ბექა ბურდილაძე	5.00%	5.00%	5.00%
	100.00%	100.00%	100.00%

(ბ) ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი**(ა) შესაბამისობის განაცხადი**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2023 საანგარიშო წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის საოპერაციო და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტაა ქართული ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას.

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)****(დ) ფუნქციონირებადი საწარმო**

ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უხლოეს მომავალში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას, ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ ღირებულებაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად და ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მანქანა-დანადგარები	6-10
ოფისის აღჭურვილობა	6
ავეჯი და სხვა ინვენტარი	6
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	6
სატრანსპორტო საშუალებები	10

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს როგორიცაა:

- კომპანიის მიერ აქტივის გამოყენების რეჟიმი;
- სავარაუდო ფიზიკური ცვეთა;
- ტექნიკური და ფიზიკური მოძველება;
- აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რა პერიოდშიც აქტივის აღიარების შეწყვეტა მოხდა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიპოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ღირებულებით. ისინი შემდეგ ფასდება გარიგების ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვის თანხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დგინდება, როდესაც არის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი ვადების შესაბამისად.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 -365 დღე	1 წელზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	0%	2%	10%	25%	50%	100%

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). მარაგების თვითღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით.

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****მოგების გადასახადი**

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შემენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტიან სესხებს მიესადაგება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულებდა. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებულია, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებულია, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

შემოსავალი

შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოძინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

სხვა ხარჯები

კომპანია აღიარებს მოთხოვნებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე, რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

იჯარა**საოპერაციო იჯარა- კომპანია როგორც მოიჯარე**

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი- საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსია:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 GEL / 1 USD	2.6894	2.7020
1 GEL / 1 EURO	2.9753	2.8844

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები**

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების მიმდინარე ვადები ზემოთ მე-3 შენიშვნაშია მოცემული.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი

კომპანია რეგულარულად გადახედავს ფინანსურ აქტივებს გაუფასურებასთან მიმართებაში. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით, კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება ფინანსური აქტივების გაუფასურების, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურებას მოგება-ზარალში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვლებადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობის გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

5. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს)

2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ ცვლილებები და ინტერპრეტაციები არ მომხდარა ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს).

შპს „ნატურლენდი“

ფინანსურ ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. წინა პერიოდის შეცდომის გასწორება და რეკლასიფიკაცია

კომპანიამ მოახდინა წინა პერიოდის შეცდომების გასწორება მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გადაანგარიშების ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
ფული და ფულის ეკვივალენტები	928,081	(152)	927,929
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,051,774	(107,940)	2,943,834
გადახდილი ავანსები	6,641	(631)	6,010
მარაგები	1,880,294	(563)	1,879,731
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	150	(150)	-
სხვა აქტივები	-	287	287
ძირითადი საშუალებები	168,604	4,111	172,716
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(742,634)	(12,801)	(755,435)
საგადასახადო ვალდებულება	(131,139)	12,429	(118,710)
გადასახდელი ხელფასები	(7,369)	7,369	-
გაუნაწილებელი მოგება	(4,837,237)	98,042	(4,739,196)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
ფული და ფულის ეკვივალენტები	335,649	(300)	335,348
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,277,266	(197,580)	5,079,686
გადახდილი ავანსები	4,798	91,482	96,280
მარაგები	2,980,904	(53,632)	2,927,272
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,102,050)	27,618	(1,074,432)
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	(1,580,000)	849,206	(730,794)
საგადასახადო ვალდებულება	(56,198)	12,341	(43,857)
გადასახდელი ხელფასები	(1,342)	1,342	-
გადასახდელი პროცენტები	(80,794)	80,794	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	(930,000)	(930,000)
გაუნაწილებელი მოგება	(6,009,917)	118,729	(5,891,188)

სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
შემოსავალი	16,901,426	(151,693)	16,749,733
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(8,865,335)	171,999	(8,693,336)
გაყიდვის და დისტრიბუციის დანახარჯები	-	(3,580,675)	(3,580,675)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	(1,375,404)	(1,375,404)
სხვა შემოსავალი	33,967	83,214	117,181
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(1,739,172)	1,739,172	-
პერსონალის ხარჯები	(2,138,711)	2,138,711	-
იჯარის ხარჯი	(201,021)	201,021	-
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	(47,884)	47,884	-
ტრანსპორტირების და მიწოდების სხვა ხარჯი	(486,227)	486,227	-
საგადასახადო ხარჯი	(286,985)	286,985	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(66,226)	66,226	-

შპს „ნატურლენდი“

ფინანსურ ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. წინა პერიოდის შეცდომის გასწორება და რეკლასიფიკაცია (გაგრძელება)

სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(100,656)	100,656	-
ფინანსური ხარჯი ნეტო	-	(117,348)	(117,348)
საკუთრო სხვაობით წარმოშობილი წმინდა (მოგება)/ზარალი	(369,027)	120,224	(248,803)
სხვა ხარჯი	-	(525,738)	(525,738)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(295,960)	295,960	-
მოგების გადასახადის ხარჯი	(197,523)	(8,111)	(205,634)

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
ფული სალაროში, ეროვნულ ვალუტაში	13,527	8,403	3,981
ფული ბანკში, ეროვნულ ვალუტაში	19,964	296,174	852,010
ფული ბანკში, უცხოურ ვალუტაში	5,538	30,771	71,938
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	39,029	335,348	927,929

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022	1 იანვარი, 2022
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	7,181,286	5,275,901	3,051,635
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,181,286	5,275,901	3,051,635
გაუფასურების რეზერვი	(390,179)	(196,215)	(107,801)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,791,107	5,079,686	2,943,834

ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებებთან. სავაჭრო მოთხოვნების საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
1 იანვარი	(196,215)	(107,801)
რეზერვის ზრდა	(193,964)	(88,414)
	(390,179)	(196,215)
რეზერვის ამობრუნება	-	-
31 დეკემბერი	(390,179)	(196,215)

შპს „ნატურლენდი“

ფინანსურ ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9. მარაგები

მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
გასაყიდად გამიზნული მარაგები	3,782,150	2,978,478	1,878,124
საწვავი	2,591	2,426	1,607
მარაგების რეზერვი	(71,656)	(53,632)	-
სულ მარაგები	3,713,085	2,927,272	1,879,731

მარაგების რეზერვის მოძრაობა

	2023	2022
მარაგების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	(53,632)	-
მარაგების რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	(18,024)	(53,632)
მარაგების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	(71,656)	(53,632)

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***10. ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მანქანები და დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
2022 ის წლის 1 იანვრის მდგომარეობით	54,627	255,669	53,665	-	13,386	377,347
შემოსვლა	4,237	57,324	2,239	-	30,291	94,091
გასვლა/ჩამოწერა	-	(3,661)	-	-	-	(3,661)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	58,864	309,332	55,904	-	43,677	467,777
შემოსვლა	12,542	99,884	4,715	53,850	61,906	232,897
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	71,406	409,216	60,619	53,850	105,583	700,674
აკუმულირებული ცვეთა						
2022 ის წლის 1 იანვრის მდგომარეობით	30,735	135,234	34,619	-	4,044	204,632
ცვეთის ხარჯი	6,383	38,436	6,888	-	5,066	56,773
გასვლის/ჩამოწერის მომენტში დაგროვილი ცვეთა	-	(1,934)	-	-	-	(1,934)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	37,118	171,736	41,507	-	9,110	259,471
ცვეთის ხარჯი	4,996	41,445	4,396	2,692	9,196	62,725
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	42,114	213,181	45,903	2,692	18,306	322,196
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2022 ის წლის 1 იანვრის მდგომარეობით	23,892	120,436	19,046	-	9,342	172,716
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	21,746	137,596	14,397	-	34,567	208,306
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	29,292	196,036	14,716	51,158	87,277	378,479

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაცვეთილმა ძირითადი საშუალებების ღირებულებამ შეადგინა 157,879 ლარი. (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 70,636; 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 53,077).

შპს „ნატურლენდი“

ფინანსურ ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022	1 იანვარი, 2021
სავაჭრო დავალიანებები	1,642,426	1,065,323	748,716
გადასახდელი ხელფასები	23,387	9,109	6,719
სულ სავაჭრო და სხვა დავალიანება	1,665,813	1,074,432	755,435

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

12. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გამსესხებელი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი 2023			31 დეკემბერი 2022			1 იანვარი 2021		
					გადასახდელი ძირი	გადასახდელი პროცენტი	სულ	გადასახდელი ძირი	გადასახდელი პროცენტი	სულ	გადასახდელი ძირი	გადასახდელი პროცენტი	სულ
თიბის ბანკის სესხი	11/7/2022	11/7/2024	14%	GEL	500,917	-	500,917	650,000	-	650,000	-	-	-
თიბისი ბანკის საკრედიტო ხაზი	11/30/2022	11/28/2024	10%	USD	65,756	-	65,756	-	-	-	-	-	-
თიბის ბანკის სესხი	9/11/2020	9/11/2021	17%	GEL	-	-	-	-	-	-	350,000	-	350,000
ვახტანგ ბარბაქაძე	6/1/2022	6/1/2027	20%	GEL	470,000	197,002	667,002	930,000	80,794	1,010,794	-	-	-
					1,036,673	197,002	1,233,675	1,580,000	80,794	1,660,794	350,000	-	350,000
სასესხო ვალდებულება, გრძელვადიანი ნაწილი							470,000			930,000			-
სასესხო ვალდებულება, მიმდინარე ნაწილი							763,675			730,794			350,000
							1,233,675			1,660,794			350,000

სესხის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სესხების მოძრაობა	2023	2022
1 იანვარი	1,660,794	350,000
სესხის აღება	4,400,438	4,367,328
გადახდილი ძირი	(4,943,765)	(3,141,581)
გადახდილი პროცენტი	(71,994)	(37,358)
საპროცენტო ხარჯი	187,808	122,405
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	394	-
31 დეკემბერი	1,233,675	1,660,794

კომპანიის ფინანსური ხარჯი, წმინდა შედეგა მოცემულ მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯებისგან, რომელიც მოცემულია სესხების მოძრაობის ცხრილში და ბანკში განთავსებულ ფულად სახსრებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლისგან, რომელი 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგენს 4,510 ლარს (2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი 5,057 ლარი).

კომპანიას სს თიბისი ბანკის სესხების უზრუნველსაყოფად ჩადებული აქვს ნებისმიერი არსებული და სამომავლო შეძენილი დებიტორული მოთხოვნების უფლებები და ასევე ნებისმიერი არსებული და სამომავლო მარაგები.

შპს „ნატურლენდი“

ფინანსურ ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისგან. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 200 ლარს. კომპანიის მფობელების შესახებ ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 1. (ა).

2023 წლის საანგარიშგებო პერიოდებში კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდები 1,072,832 ლარის ოდენობით. (2022 წლის საანგარიშგებო პერიოდში კი 967,983 ლარის ოდენობით).

14. შემოსავალი

შემოსავალი 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან დაუბეგრავი	14,177,314	12,871,104
შემოსავალი რეალიზაციიდან 18%-ანი	5,830,091	4,442,047
შემოსავალი რეალიზაციიდან ჩათვლის უფლებით 0%	28,185	54,024
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(816,290)	(617,442)
სულ შემოსავალი	19,219,300	16,749,733

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

გაწეული მომსახურების თვითღირებულება 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9,067,610	9,063,724
მოზრუნებული პროდუქციის თვითღირებულება	(357,692)	(370,388)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8,709,918	8,693,336

16. გაყიდვის და დისტრიბუციის დანახარჯები

გაყიდვის და დისტრიბუციის დანახარჯები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
ხელფასი და სხვა სარგებელი	1,933,692	1,476,947
რეალიზაციისა და მარკეტინგის ხარჯები	1,897,469	1,484,542
საწვავის ხარჯები	239,679	274,064
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	182,254	187,988
წარმომადგენლობითი და სხვა მარკეტინგული ხარჯები	131,513	95,463
მივლინების ხარჯი	73,055	61,671
სულ გაყიდვის და დისტრიბუციის დანახარჯები	4,457,662	3,580,675

შპს „ნატურლენდი“

ფინანსურ ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
ხელფასი და სხვა სარგებელი	661,497	500,672
საგადასახადო ხარჯი	338,618	287,388
იჯარის ხარჯი	345,180	201,021
სატრენინგო მომსახურების ხარჯი	165,532	143,458
ცვეთა და ამორტიზაცია	72,601	66,226
კომუნალური ხარჯები	55,572	47,885
საოფისე ხარჯი	43,439	26,991
შეკეთების ხარჯი	35,525	24,049
ბანკის მომსახურების ხარჯი	21,406	21,704
საკონსულტაციო ხარჯები	9,243	1,150
დაზღვევის ხარჯი	7,153	4,094
მივლინების ხარჯი	2,847	3,212
დაცვის ხარჯი	1,627	2,051
სხვა	9,503	45,503
	1,769,743	1,375,404

18. საკურსო სხვაობით წარმოშობილი წმინდა ზარალი

კომპანიის საკურსო სხვაობით წარმოშობილი წმინდა მოგება/(ზარალი) 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით.

	2023	2022
არარეალიზებული კურსთაშორისი მოგება	118,701	216,111
რეალიზებული კურსთაშორისი ზარალი	(213,830)	(464,914)
სულ საკურსო სხვაობით წარმოშობილი წმინდა ზარალი	(95,129)	(248,803)

19. სხვა ხარჯი

სხვა ხარჯი 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
ნელა მოძრავი მარაგების ჩამოწერა	18,024	53,632
საექვო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი	193,964	88,414
უსასყიდლოდ გადაცემული მარაგების ჩამოწერა	295,122	171,999
განსაკუთრებული ხარჯი	-	209,965
სხვა	225	1,728
სულ სხვა ხარჯი:	507,335	525,738

20. მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახადელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება,

შპს „ნატურლენდი“

ფინანსურ ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

20. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

21. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების

21. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მიღებული სესხები	667,002	1,010,794	-

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ხელფასი და სხვა სარგებელი 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის შეადგენს:

	2023	2022
ხელფასი და სხვა სარგებელი	415,273	337,353

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 12 სექტემბერს.

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ დამდგარა ისეთი მოვლენები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან გამჟღავნებას ექვემდებარება.

შპს „ნატურლენდი“
ს/კ 400106611
მის: ქ. თბილისი, ჭყონდიდელის 87ა
ტელ: (+995 32) 2 692538
ელ-ფოსტა: info@naturland.ge



Naturland LLC
IN: 400106611
Address: 87 Chkondideli str, Tbilisi, Georgia
ტელ: (+995 32) 2 692538
E-mail: info@naturland.ge

შპს „ნატურლენდი“
2023 წლის
მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

„ნატურლენდი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში „კომპანია“), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2013 წლის 13 დეკემბერს შემდეგი ნომრით: 400106611.

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი არის საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, გიორგი ჭყონდიდელის ქ., N 87 ა.

კომპანიის დირექტორი არის თეონა გიორგაძე.

2022 წლის 1 იანვრის, 2022 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
ვახტანგ ბარბაქაძე	65.00%	65.00%	65.00%
თეონა გიორგაძე	15.00%	15.00%	15.00%
შორენა მეხრიშვილი	15.00%	15.00%	15.00%
ბექა ბურდილაძე	5.00%	5.00%	5.00%
ჯამში	100.00%	100.00%	100.00%

შპს „ნატურლენდს“ არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ბავშვთა და მოზრდილთა კვების პროდუქტებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა;
- ჰიგიენის და თავის მოვლის სხვადასხვა საშუალებებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა;
- ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომელიც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

„ნატურლენდი“ არის ქართულ ბაზარზე ერთ-ერთი წამყვანი კომპანია ბავშვთა კვების, ბავშვთა მოვლის, ჰიგიენის, კოსმეტიკის სფეროში, ელექტრონული მოწყობილობების მიწოდებაში.

კომპანია აწარმოებს პროდუქციის იმპორტს შემდეგი ქვეყნებიდან: გერმანია, საფრანგეთი, უკრაინა, სლოვაკეთი, ჩეხეთი, ლიეტუვა, ჩინეთი, თურქეთი, რუსეთი, სომხეთი.

კომპანია აწარმოებს ექსპორტს სომხეთსა და აზერბაიჯანში.

კომპანია ფლობს რამდენიმე საერთაშორისო ბრენდის ავტორიზებული დილერის სტატუსს და აქვს მათი ექსკლუზიურად გაყიდვის უფლება საქართველოს ტერიტორიაზე.

კომპანიას აქვს ონლაინ გაყიდვების და სახლში მიტანის სერვისი.

ბაზრის მიმოხილვა და კომპანიის ადგილი

კომპანია „ნატურლენდი“ წარმოადგენს ერთ-ერთ ლიდერ კომპანიას საქართველოში ბავშვთა კვებისა და ჰიგიენის სფეროში.

კომპანია „ნატურლენდი“-ს გამორჩეულობას ბაზარზე უზრუნველყოფს:

- კომპანიის სტაბილურობა და საიმედოობა;
- ბიზნესის მართვაში თანამედროვე ინსტრუმენტებისა და სტანდარტების დანერგვა;
- კომპანიის გამართული შიდა მენეჯმენტი;
- პროდუქციით უწყვეტი მომარაგება მთელი საქართველოს მასშტაბით;
- სტაბილური ფასები;
- კრეატიული მარკეტინგის დეპარტამენტი ეფექტური მერჩანდაიზინგის სამსახურით;
- ინდივიდუალურად ჩვენს კომპანიაზე მორგებული პროგრამული უზრუნველყოფები;
- მაღალი კომპეტენციის პროფესიონალური სამედიცინო წარმომადგენლების სამსახური;
- უცხოელ პარტნიორებთან მრავალწლიანი ურთიერთობის გამოცდილება;
- ხანგრძლივი და სტაბილური ურთიერთობის გამოცდილება ადგილობრივ წამყვან სამედიცინო, ფარმაცევტულ და საცალო გაყიდვის კომპანიებთან;

ყველა ეს ფაქტორი ერთობლიობაში განაპირობებს „ნატურლენდის“ წინსვლასა და წარმატებას.

კომპანიის ხედვა და მიზნები, განვითარების გეგმები

კომპანიის «ნატურლენდის» მიზანია მომხმარებლებთან გრძელვადიანი პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება.

კომპანია ხედვას, რომ შესაძლებელია დადებითისაკენ შეიცვალოს ადამიანების დამოკიდებულება საკვებისადმი და ჰიგიენისადმი. „ნატურლენდის“ ერთ-ერთი მთავარი მიზანია ბავშვის ჯანმრთელობის ხელშეწყობა ბიოლოგიურად სუფთა და ჯანსაღი საკვებით.

ჯანსაღი საზოგადოება ეფუძნება ჯანმრთელობას, ცხოვრების ჯანსაღ წესს და სწორ კვებას, რომლის დანერგვა და ხელშეწყობაც ჩვენი კომპანიის უმთავრესი პრინციპია. სწორედ ამ პრინციპზეა დაფუძნებული კომპანიის კორპორატიული კულტურა.

ჩვენ ერთ-ერთ მთავარ მოვალეობად ვთვლით, რომ მომხმარებელი იყოს უკეთ გათვითცნობიერებული. ამისათვის, მომხმარებლებს ვაწვდით მეტ ინფორმაციას სწორ კვებასა და ჰიგიენაზე, ვცდილობთ მოსახლეობისთვის სამეცნიერო სიახლეების გაცნობას და მუდმივად ინოვაციური პროდუქტების დანერგვას ჩვენ ბაზარზე.

ჩვენ ვცდილობთ ადამიანების ცხოვრებაზე პოზიტიური გავლენა ვიქონიოთ და ჩვენი ბიზნესი მომხმარებლებს, თანამშრომლებს, მომწოდებლებს, საზოგადოებასა და გარემოს ერთნაირად ღირსეულად ემსახურებოდეს.

წლების განმავლობაში კომპანიამ გაზარდა იმპორტირებული პროდუქციის ჩამონათვალი და მის პორტფელში ბავშვთა კვების პროდუქტებთან ერთად, უკვე მნიშვნელოვანი როლი უჭირავს მოზრდილთა კვების პროდუქტების, ჰიგიენის, კოსმეტიკისა და თავის მოვლის საშუალებების, ასევე ელექტრონული მოწყობილობების რეალიზაციას. კომპანიამ საკმაოდ წარმატებულად დანერგა ონლაინ გაყიდვებისა და სახლში მიტანის სერვისი.

რისკების შემცირების მიზნით, კომპანიის სტრატეგია გულისხმობს როგორც მომწოდებლების ასევე გაყიდვის წერტილების დივერსიფიცირებას.

კომპანიას მიაჩნია, რომ უნდა იყოს მომწოდებლებთან, ქვეკონტრაქტორებთან და მომხმარებლებთან ურთიერთობაში პატიოსანი და ეთიკური პარტნიორი. იგი თვლის, რომ წარმატება და კმაყოფილება მოაქვს მხოლოდ ბიზნეს ეთიკის პრინციპების დაცვით საქმიანობას და პროფესიონალიზმის, პატიოსნებისა და სამართლიანობის უმაღლესი დონის შენარჩუნებას.

კომპანიის წარმოდგენით მისი წარმატების მთავარი საფუძველი არის თანამშრომელთა მოტივირებული გუნდი და სწორი კორპორატიული კულტურა.

თითოეული თანამშრომელი ვალდებულია პასუხისმგებლობით მოეკიდოს თანამშრომლების, კლიენტების და საზოგადოების მოთხოვნებს.

კომპანიაში მიაჩნიათ, რომ ყველა ერთად ქმნის წარმატებას.

კომპანიას მიაჩნია, რომ ტოპ-მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის განვითარების მთლიანი სურათის დანახვაზე, თანამშრომლებისთვის კომფორტული სამუშაო რეჟიმის შექმნაზე და ხელფასების ზუსტად და დროულად გაცემაზე.

შპს „ნატურლენდში“ საქმიანი კავშირები დაფუძნებულია პროფესიულ, კოლეგიალურ და არადისკრიმინაციულ პრინციპებზე, ურთიერთპატივისცემაზე და ურთიერთხელშეწყობაზე.

კომპანიის კორპორაციული კულტურა გულისხმობს, რომ ყველა აღიქვამდეს თავს სრულფასოვან თანამშრომელად, რომ იყოს ეფექტური გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების შესაძლებლობა, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი დელეგირება, რომ იყოს სიახლეებისა და ცვლილებებისადმი სწრაფად ადაპტირების საშუალება, რომ თითოეული თანამშრომელი გრძნობდეს სამართლიანობას, რომ არ იყოს პრივილეგირებული თანამშრომელი და რომ კომპანიაში არსებობდეს პროფესიული სრულყოფის, კარიერული და ფინანსური წინსვლის საშუალება.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების შესახებ

კომპანიას არ აქვს ფილიალები

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანიაში დანერგილია თანამშრომელთა უწყვეტი განვითარების პროგრამა, რაც გულისხმობს თანამშრომელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, როგორც შიდა, ასევე გარე რესურსების გამოყენებით.


კომპანიის ზრდა-განვითარებასთან ერთად ხდება, არსებული კონტროლის და მართვის სისტემების ანალიზი და ახალ მოცემულობებთან შესაბამისობისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

კომპანიის სტრუქტურა და კომპანიაში დასაქმებულები

კომპანია «ნატურლენდის» სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში.

კომპანიას აქვს საწყობები თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში და ახორციელებს საკუთარი ბრენდების დისტრიბუციას მთელი საქართველოს მასშტაბით.

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა მოცემულია სქემატურად:



ანგარიშების წარდგენის მომენტისათვის კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 130-ს.

კომპანიის ყველა დასაქმებული პირი დაზღვეულია სს სადაზღვეო კომპანია „პსპ დაზღვევა“-ში, რისთვისაც კომპანია ყოველთვიურად იხდის განსაზღვრულ თანხას.

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2023 წლის საანგარიშო პერიოდში წლის საოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 19,219,300 ლარი, წმინდა მოგებამ შეადგინა 3,303,768 ლარი.

2022 წლის საანგარიშო პერიოდში წლის საოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 16,749,733 ლარი, წმინდა მოგებამ შეადგინა 2,119,976 ლარი.

კომპანიის რენტაბელობის მაჩვენებლები შემდეგია:

	2023	2022
საერთო მოგების მარჟა	55%	48%
წმინდა მოგების მარჟა	18%	13%
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	4.37	4.56
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	2.8	3.0
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	(0.43)	(0.34)

რისკების ანალიზი

სავაჭრო რისკები

ნედლეულის ფასის ზრდა მომწოდებლების მიერ - ნედლეულის ფასის ზრდა გამოიწვევს მომგებიანობის შემცირებას რაც დაკასირებულია დამატებით ფინანსურ რისკებთან.

გასაყიდ პროდუქციაზე ფასის ვარდნა -პროდუქციაზე ფასის შემცირება გამოიწვევს მომგებიანობის შემცირებას, რაც დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ რისკებთან.

კომერციული რისკი

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო პროდუქციის მოწოდების შეჩერება უცხოელი მომწოდებლებისაგან

ამ მიზნით კომპანია ახდენს საწყობში მარაგების ოპტიმიზაციას და შესაძლო რისკებთან მიმართებაში საჭირო სხვა ღონისძიებებს.

სტრატეგიული რისკი

დაგეგმილი ზრდა მოითხოვს მნიშვნელოვანი ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზებას, რომლის დეფიციტიც არის ბაზარზე. რესურსებზე ხელმიუწვდომლობა შეაფერხებს გეგმების რეალიზებას.

ამ მიზნით კომპანიის მენეჯმენტის მიზანია მუდმივი ოპტიმიზაცია, ინსტიტუციონალური ზრდის უზრუნველყოფა, რესურსების წყაროების დივერსიფიკაცია.

ფინანსური რისკი

ფინანსურ რისკებს შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია:

- ნაღდი ფულადი სახსრების დეფიციტი
- სავალუტო რისკები
- ამ რისკების შესამცირებლად, კომპანია აწარმოებს საბიუჯეტო პოლიტიკას, აუმჯობესებს დაგეგმარებას და ხარჯების კონტროლს.
- სავალუტო რისკების დაბალანსებისთვის, ჩვენ ვგეგმავთ პროექტების დივერსიფიცირებას დაფინანსების წყაროების მიხედვით. სხვადასხვა ვალუტაში არსებული კონტრაქტების საფუძველზე ხდება სავალუტო რისკების მართვის შესაძლებლობების შექმნა.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოსაწერად ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი /თეონა გიორგაძე/

ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი /ბექა გეთიაშვილი/

თბილისი, საქართველო

20 სექტემბერი 2024

სტრატეგიული რისკი

დაგეგმილი ზრდა მოითხოვს მნიშვნელოვანი ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზებას, რომლის დეფიციტიც არის ბაზარზე. რესურსებზე ხელმძღვანელობა შეაფერხებს გეგმების რეალიზებას.

ამ მიზნით კომპანიის მენეჯმენტის მიზანია მუდმივი ოპტიმიზაცია, ინსტიტუციონალური ზრდის უზრუნველყოფა, რესურსების წყაროების დივერსიფიკაცია.

ფინანსური რისკი

ფინანსურ რისკებს შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია:

- ნაღდი ფულადი სახსრების დეფიციტი
- სავალუტო რისკები
- ამ რისკების შესამცირებლად, კომპანია აწარმოებს საბიუჯეტო პოლიტიკას, აუმჯობესებს დაგეგმარებას და ხარჯების კონტროლს.
- სავალუტო რისკების დაბალანსირებისთვის, ჩვენ ვგეგმავთ პროექტების დივერსიფიცირებას დაფინანსების წყაროების მიხედვით. სხვადასხვა ვალუტაში არსებული კონტრაქტების საფუძველზე ხდება სავალუტო რისკების მართვის შესაძლებლობების შექმნა.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოსაწერად ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი /თეონა გიორგაძე/

ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი /ბექა გეთიაშვილი/

თბილისი, საქართველო

20 სექტემბერი 2024

